პროექტი

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997წ., გვ. 55) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო კონკურსს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ამ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის წინადადებით ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში აცხადებს საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროს უფროსი ან ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი შესაბამის ბეჭდვით ორგანოში. ამასთან, კანდიდატებს განცხადების შესატანად ეძლევათ ორკვირიანი ვადა შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან.“.

2. 85-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს, ამ კანონის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომისიის თავმჯდომარის გარდა, შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროს უფროსი.“.

3. 128[1] მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საჯარო სამსახურის საბჭოს მდივანი იმავდროულად არის საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროს უფროსი.“.

4. 129-ე და 130-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რეადქციით:

„მუხლი 129. საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიურო

1. საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობის, ამ კანონით დადგენილი ძირითადი მიმართულებების განხორციელების, საჯარო სამსახურის საბჭოსა და მისი წევრების საქმიანობის ორგანიზაციული, ტექნიკური, საინფორმაციო და საექსპერტო უზრუნველყოფის, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღების, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საჯაროობისა და დეკლარაციების დროულად ჩაბარებაზე კონტროლის უზრუნველყოფის, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების

განხორციელების მიზნით იქმნება საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიურო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროს დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 130. საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროს ფუნქციები

1. საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროს ფუნქციები განისაზღვრება ამ კანონით და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით.

2. საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიურო:

ა) შეისწავლის და აანალიზებს საჯარო სამსახურის სფეროში არსებულ მდგომარეობას, შესაბამისი ნორმატიული აქტების შესრულებას და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს მოხსენებას;

ბ) კოორდინაციასა და მეთოდურ დახმარებას უწევს საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის პროცესებს, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს;

გ) კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ორგანოთა (დაწესებულებათა) საკადრო სამსახურების მუშაობას;

დ) საჯარო სამსახურის მართვის სრულყოფის მიზნით შეისწავლის და განაზოგადებს საჯარო სამსახურის სფეროში სხვა სახელმწიფოთა გამოცდილებას და თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.".

მუხლი 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო სამსახურის ბიურო გარდაიქმნას საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – საჯარო სამსახურისა და დეკლარირების ბიუროდ.

მუხლი 3

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*